საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 24 06/03/2017

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ღორეშაში არსებული შენობის პირველ და მეორე სართულზე მდებარე 119.99კვმ. ფართის (ს/კ 36.06.32.341) 30 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, და მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 109 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ღორეშაში არსებული შენობის პირველ და მეორე სართულზე მდებარე 119.99კვმ. ფართის (ს/კ 36.06.32.341) 30 წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2.განკარგულება ძალაში შევიდეს 2017 წლის 12 მარტიდან.

მუხლი 3. აღნიშნული განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძლადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაული მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის # 10 განკარგულება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე